Teen Academy

მდგრადი განვითარება: სიახლეები და გამოწვევები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლა **Teen Academy-ის** პროექტს განახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, შესაბამისად, სკოლის მოსწავლეებისთვის განხორციელდება პროექტი - „მდგრადი განვითარება: სიახლეები და გამოწვევები“.

მდგრადი განვითარების კონცეფცია ახლა იკიდებს ფეხს საქართველოში და მის შესახებ ცნობიერების დონე ჯერ კიდევ დაბალია საზოგადოებაში, მათ შორის, მოსწავლეებშიც.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან შემდეგ საკითხებს:

1. მდგრადი ეკონომიკური განვითარება;
2. სოციალური პასუხისმგებლობა;
3. სოციალური საწარმო;
4. ნარჩენების მართვა ;
5. განახლებადი ენერგიები ;
6. მდგრადი ტურიზმი;
7. პროექტის წერა და პრეზენტაცია;

პრაქტიკული მეცადინეობა:

მოსწავლეები მათთვის ყველაზე საინტერესო თემის შესახებ მოამზადებენ და წარმოადგენენ პროექტს, რომელსაც შეაფასებს ჟიური. გამარჯვებული პროექტის ავტორებს გადაეცემათ სპეციალური პრიზები. პროექტში ჩართული იქნებიან როგორც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე ეკონომიკის სამინისტროსა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები.